საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის

ბრძანება №89

2014 წლის 4 აგვისტო

ქ. თბილისი

„საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 8 ოქტომბრის №146 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №97 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 8 ოქტომბრის №146 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შინაგანაწესში (ვებგვერდი, 09/10/2013, 300280010.22.025.016113) შეტანილ იქნეს ცვლილება და შინაგანაწესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამუშაო დრო განისაზღვრება დილის 09.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი **კახა კალაძე**